დამტკიცებულია
თჰუაკადემიურისაბჭოს 2018 წლის 7მაისისN10/ 2018 გადაწყვეტილებითა და
თჰურექტორის 2018 წლის 7 მაისისN92/07 ბრძანებით
მოდიფიცირებულია
თჰუაკადემიური საბჭოს 2024 წლის 24 ივნისის N08 გადაწყვეტილებით
მოდიფიცირებულია
თჰუაკადემიურისაბჭოს 2024 წლის 09 სექტემბრის
N10 გადაწყვეტილებით
მოდიფიცირებულია
თჰუაკადემიურისაბჭოს 2025 წლის 09 ივნისის
N09 გადაწყვეტილებით

სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია

1. ეს წესი განსაზღვრავს თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტთა კონტინგეტის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგიას.
2. სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვა ხორციელდება თითოეული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით.
3.თითოეულ პროგრამაზე სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვისთვის მნიშვნელოვანია შემდეგი პარამეტრები:
ა)სტუდენტთა არსებული რაოდენობა;
ბ)დამამთავრებელი სტუდენტების რაოდენობა;
გ) მისაღები სტუდენტების რაოდენობა;
დ) პროგრამიდან განთესვა (სტუდენტის გასვლა პროგრამიდან სტატუსის შეჩერების, შეწყვეტის ან სხვა პროგრამაზე/უნივერსიტეტში მობილობის წესით გადასვლის გამო);
ე) თითოეულ პროგრამაზე აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა;
4. პროგრამაზე სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვისას გათვალისწინებულია სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის შემდეგი თანაფარდობა:
ა) საბაკალავრო საფეხურის პროგრამებისთვის - 1 პროფესორი/ასოცირებული პროფესორი/ასისტენტ პროფესორი არაუმეტეს 20 სტუდენტზე, მაგრამ არანაკლებ 5 პროფესორის/ასოცირებული პროფესორი /ასისტენტ პროფესორი თითოეულ პროგრამაზე;
ბ) სამაგისტრო საფეხურის პროგრამებისთვის - 1 პროფესორი/ასოცირებული პროფესორი/ასისტენტ პროფესორი არაუმეტეს 15 სტუდენტზე, მაგრამ არანაკლებ 5 პროფესორისა/ასოცირებული პროფესორი/ასისტენტ პროფესორი თითოეულ პროგრამაზე;
გ) დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიანი პროგრამებისათვის - 1 პროფესორი/ასოცირებული პროფესორი/ასისტენტ პროფესორი არაუმეტეს 20 სტუდენტზე, მაგრამ არანაკლებ 5 პროფესორისა/ასოცირებული პროფესორი/ასისტენტ პროფესორი თითოეულ პროგრამაზე;
დ) ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისათვის - 1 პროფესორი/ასოცირებული პროფესორი/ასისტენტ პროფესორი არაუმეტეს 20 სტუდენტზე, მაგრამ არანაკლებ 3 პროფესორისა/ასოცირებული პროფესორი/ასისტენტ პროფესორი თითოეულ პროგრამაზე;
5. პროგრამაზე აკადემიური პერსონალისა და მოწვეული პერსონალის დაგეგმვისას

მიზანშეწონილია მოწვეული პერსონალის თანაფარდობა აკადემიურ პერსონალთან არ აღემატებოდეს აკადემიური პერსონალის 1,5 ოდენობას; დასაშვებია მოწვეული პერსონალის ოდენობის დადგენილ თანაფარდობაზე გადაცილება, პროგრამის ხელმძღვანელის დასაბუთებული მოთხოვნისა და შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს თანხმობით;

6. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის არანაკლებ 40% უნდა იყოს აფილირებული სასწავლო უნივერსიტეტთან;

7. პროგრამებზე, რომლებშიც გათვალისწინებულია ლაბორატორიული, ექსპერიმენტული, კლინიკური (მათ შორის სამართლის კლინიკა, სტომატოლოგიური კლინიკა), სიმულაცია (იმიტირებული სასამართლო პროცესი, ბიზნეს სიმულაციები) ან/და საველე კომპონენტები, სტუდენტის კონტინგენტის დაგეგმვისას უნდა იყოს გათვალისწინებული შესაბამისი ხელმისაწვდომი რესურსები (მაგ. ლაბორატორიის შემთხვევაში სტუდენტების რაოდენობა ერთ ლაბორატორიულ მეცადინეობაზე, საველე კომპონენტის შემთხვევაში - სტუდენტების რაოდენობა პროგრამით/შესაბამისი კურსით გათვალისწინებულ საველე სამუშაოს შესასრულებლად);

8. პროგრამებზე სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრისას, მხედველობაში უნდა იყოს მიღებული აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემით გათვალისწინებული სწავლებისა და კვლევისთვის დადგენილი საათობრივი დატვირთვა;

9. პროგრამაზე სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვა ხდება ყოველწლიურად, ყოველი მომდევნო აკადემიური წლისთვის;

10. სტუდენტთა ყოველწლიური სამიზნე ნიშნულის მიუღწევლობის შემთხვევაში, შესაძლებელი ხდება პროგრამაზე/პროგრამებზე შიდა ან/და გარე მობილობის გამოცხადება პროგრამაზე/პროგრამებზე არსებული თავისუფალი ვაკანსიების გათვალისწინებით;

11. პროგრამებზე/პროგრამებზე კონტინგენტის დაგეგმილი ყოველწლიური რაოდენობები (სამიზნე ნიშნულები) მტკიცდება ფაკულტეტის საბჭოზე და მტკიცდება რექტორის მიერ;

12. ფაკულტეტი აცხადებს მიღებებს საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის პროგრამებზე დამტკიცებული ნიშნულების გათვალისწინებით.

13. პროგრამაზე სტუდენტთა კონტინგენტის ზრდის შემთხვევაში, ფაკულტეტი უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის გაზრდას მე-4 პუნქტში განსაზღვრული მეთოდოლოგიის გათვალისწინებით.

14. კონტინგენტის განსაზღვრის კომპონენტები და სამიზნე ნიშნულები

14.1. უნივერსიტეტის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დროს ხდება აღნიშნული ასპექტების შესაბამისობის დადგენა შემდეგ კომპონენტებთან:

ა. სასწავლო ფართის ოდენობა

ბ. მატერიალური ბაზა-სტუდენტის განთავსება

გ. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა

დ. ადმინისტრაციის რაოდენობა

ე. კომპიუტერებისა და სხვა ტექნიკური საშუალებების რაოდენობა

ვ. ლაბორატორიების რაოდენობა უნივერსიტეტში (ერთსაფეხურიანი პროგრამებისთვის)

ზ. პრაქტიკის/კლინიკის გამტარობა

თ. ერთსაფეხურაინი პროგრამებითვის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნა რესურსებთან მიმართებით

14.2. სტუდენტთა კონტინგენტის გამოთვლის ფორმულა (ჯამური ოდენობა):

ა. სასწავლო ფართი (1,5 კვ.მ)/ 1-ზე;

გ. მატერიალური ბაზა-სტუდენტის განთავსება-სასწავლო მაგიდა/სკამების ჯამური

რაოდენობა 1/2-ზე;
დ. ადმინისტრაციიის რაოდენობა x 40-ზე (სტუდენტთა რაოდენობა);
ე. კომპიუტერებისა და სხვა ტექნიკური საშუალებების რაოდენობა x 35 სტუდნეტზე;

შენიშვნა: ორ ცვლაში სასწავლო პროცესის დაგეგმივისას აღნიშნული ნიშნულები რელევანტურია სტუდენტთა ½ გაანგარიშებაზე.

სტომატოლოგიის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე
ფუნდამენტური დისციპლინებში
სასწავლო-კვლევით ლაბორატორიაში სასწავლო კურსის განმავლობაში სამუშაო სივრცე უნდა იყოს გათვლილი 10 სტუდენტზე ერთდროულად 1 საკონტაქტო საათის ფარგლებში

პრეკლინიკური დიცსიპლინებში
საუნივერსიტეტო/სასწავლო სიმულაციურ /საფანტომო ცენტრებში სასწავლო კურსის განმავლობაში უნდა იყოს:
- 1 სიმულატორი/ფანტომი/მანეკენი - არაუმეტეს 2 სტუდენტზე ერთდროულად, 1 საკონტაქტო საათის ფარგლებში.

კლინიკური დისციპლინები საუნივერსიტეტო და აფილირებული სასწავლო კლინიკები უზრუნველყოფილი უნდა იყოს სათანადო სასწავლო ფართით, კერძოდ: 1-დანადგარიანი სტომატოლოგიური კაბინეტი - არანაკლებ 12კვ.მ- სა;
დარბაზული სისტემის სტომატოლოგიური კაბინეტი - არანაკლებ 18კვ.მ (12+6 კვ.მ) ყოველ 2 სტომატოლოგიურ დანადგარზე გათვლით.
სტომატოლოგიურ დანადგარებს შორის მანძილი უნდა იყოს არანაკლებ 2 მეტრისა
საუნივერსიტეტო /სასწავლო სივრცეში არსებულ სტომატოლოგიურ კლინიკებში (მათ შორის, აფილირებულ დაწესებულებებში) სტომატოლოგიური სავარძლის/სტუდენტის (პაციენტი /სტუდენტის) თანაფარდობა სასწავლო კურაციის განმავლობაში უნდა იყოს:
- 1 სტომატოლოგიურ დანადგართან - ერთდროულად, არაუმეტეს 4 სტუდენტის.

საუნივერსიტეტო /სასწავლო სივრცეში არსებულ ზოგადი პროფილის სამედიცინო (ამბულატორული და სტაციონარული სერვისის) მომწოდებელ კლინიკებში, მათ შორის აფილირებული 8 დაწესებულებებში, პაციენტი/სტუდენტის თანაფარდობა სასწავლო კურაციის განმავლობაში უნდა იყოს:
- თერაპიული პროფილის დეპარტამენტებში- 1 პაციენტზე არაუმეტეს 10 სტუდენტის;
- ქირურგიული პროფილის დეპარტამენტებში- 1 პაციენტზე არაუმეტეს 10 სტუდენტის;
- მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტებში- 1 პაციენტზე არაუმეტეს 10 სტუდენტის;
- პედიატრიის დეპარტამენტებში- 1 პაციენტზე არაუმეტეს 10 სტუდენტის;
- რეანიმაციის /ინტენსიური თერაპიის დეპარტამენტებში - 1 პაციენტზე არაუმეტეს 6 სტუდენტის;